საბერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია

ოქმი № 3181

სააღდგომო ეპისტოლე
2023

„რომელი აღსდეგ მკუდრეთით,
აღმადგინენ ჩუჳნ ცოდვითა დაცემულნი ესე!“

(დასდებელნი აღდგომისანი, ჴმა 4)

აუფლის მიერ საყვარელნო მამანო და ძმანო,

მაცხოვარი და მხსნელი ჩვენი უფალი იესო ქრისტე გამოუთქმელი სახიერებითა და კეთილმოწლეობით მოვიდა „ჩვენ შორის“ და დაითმინა საშინელი ვნება, შეურაცხყოფისა და ჯვარცმის სირცხვილი, სიკვდილი და დაფლვა, რათა შემუსროს ხელმწიფება მტერისა - ეშმაკისა, მოკლას სიკვდილითა სიკვდილი და თავისი კაცთა მოდგმის მაცხოვნებელი მკვდრეთით აღდგომით თავისუფლება, ცხოვრება და აღდგომა მოგვანიჭოს.

სიტყვა ღმერთი მოვიდა მიწაზე, ხორცი შეისხა, მიიღო ჩვენი კაცობრივი ბუნება, უძლურება და სიგლახაკე თვინიერ ცოდვისა და ამგვარად თავის თავთან იპოსტასური შეერთებით განაღმრთო იგი. არ განაგდო მისი მახასიათებელი თვისებანი, რომელნიც უცვალებელად და დაურღვეველად დაიცვა ღვთივშვენიერი შეერთების შემდგომაც. მთელი თავისი გამომხსნელი საქმით, უმეტეს კი, მესამისა დღისა მკვდრეთით აღდგომით ფართოდ განგვიღო ზეცისა ბჭენი, რათა არარაჲ დაგვაბრკოლებდეს ზეაღსვლად და სასუფეველისა მკვიდრობად.

ღმერთკაცი უფალი ჩვენი განგვიხვამს ზეცას, რომელიც ადამმა ურჩებით დაჰხშა კაცთა მოდგმისთვის. მხოლოჲ იგი კაცთმოყვარე შთახდა ჯოჯოხეთად, ხელი უპყრა პირველსა მას მამასა და ძველთა მართალთა უსამართლოდ შეკრულთა და მუნით აღმოიყვანა; და ასევე მოგველის ჩვენ ყველას თავის მარადიულ სასუფეველში.

* * *

აღდგომილმა ქრისტემ, ჭეშმარიტმა ღმერთმა, გვშვა ჩვენ „წყლისაგან და სულისა“ (იოანე 3,5),

მოგვანიჭა წინდი კეთილთა, რომელსა მოველოდით. იგი გვიბოძებს ურიცხვ სიკეთეებს თავის წმინდა ეკლესიაში და საღმრთო ლიტურგიის სულიერ ტრაპეზთან გვიწვევს, რათა უხრწნელ-გვყოს და **ცოდვის მრავალსალმობიერ სამარეთაგან გამოგვიტაცოს.**

როგორც მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინების ჟამს ღვთაებრივი სიტყვის მსმენელ და განსაკვირველი სასწაულების მხედველ ხალხს **სულიერ გრძნობათა დახშულობის გამო** არ სჯეროდა მესიისა. ჩვენ დროშიც, ისევე როგორც ყველა სხვა ეპოქაში, არ სწამს მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის ადამიანთა უმრავლესობას, იესო ქრისტეს მხედველსა და მსმენელს ეკლესიის, საღმრთო წერილისა და წმინდა სასწაულმოქმედთა საშუალებით.

მაგრამ პრობლემა არა მხოლოდ ურწმუნოებში და აცრუდმორწმუნეებშია. პრობლემა ჩვენშიც, მორწმუნეებშიც იჩენს თავს, როდესაც რაიმე სულიერი მარცხი შეგვემთხვევა და ჩვენი სულიერი მცონარების გამო ცოდვის მიზეზით მტრის - ეშმაკის მიერ ტყვექმნილნი აღმოვჩნდებით.

ასეთ მომენტებში, ღირსი ისააკ ასური გვირჩევს, გავიხსენოთ თუ რაჲ გვიქმნია პირველ, როგორნი ღვაწლნი აღგვისრულებია და ვითარ დავმშვრალვართ სულიერი ტყვეობიდან განსათავისუფლებლად, ვითარ ვღაღადებდით ღმრთისა მიმართ, რაჲთა განეგდო სიცონილი და ღვთაებრივი ნუგეშინისცემა ებოძებინა. ამ გზით იღვიძებს სული, ღვთაებრივი მოშურნეობის ალი ინთება და კვლავ განახლდება სასოება; მაშინ **სული აღდგება მკვდრეთით** და პირველსა მას კეთილსა წესსა და რიგს დაუბრუნდება (სიტყვა 2). აი, მაგალითი და საქმითი ცნობა აღდგომისა ჩვენ ლიტონ ცხოვრებაში!

ღირსი სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი გვასწავლის, რომ ღმერთი იმისთვის განკაცნა, ჯვარს ეცვა, მოკვდა და აღდგა, რომ ამ ცხოვრებაშივე მოგვანიჭოს **აღდგომა სულისა.** მაშინ ფრიად გაფანტული ჩვენი გონება წესიერებას იძენს და ლოცვისა და ღვთის სიტყვის გარშემო შემოიკრიბება, იკურნება და საკუთარი თავისა და ღმრთის შემეცნებას იწყებს (ანბანური თავნი, 12).

* * *

აღდგომილი უფლის მიერნო ძმანო და მამანო,

მაცხოვარი ჩვენი რაღდგა ჩვენთვისაც, ამჟამინდელი მორწმუნეების, ნათელღებული და ღმრთის ჭეშმარიტების თამამად აღმსარებლი მართლმადიდებლებისთვის. და ჩვენც, მის მაცხოვნებელ მცნებათაგან რომელთამეს დამრღვევნი ნუ ვიორგულებთ, ნუუკვე დატევებულ ვიქმნეთ **„სულიერ კურნებათაგან“!** ყოველი ჩვენგანისთვის, უდებთა და უკან დაშთომილთათვის აღსდგა უფალი, რაჲთა თავისი სიწმინდისკენ მიგვზიდოს!

ბრწყინვალედ მმარხველთა თუ ნაკლულევანთა, სრულებით შევინანოთ ყოველთა, რათა სარწმუნოებით მივეახლოთ

უფლის პატიოსან ხორცსა და სისხლს და აღვივსოთ სულიერი კეთილსუნნელებით. ყოველნი, ღვთაებრივი მადლით განმტკიცებულნი და ხორციელი ბიწისგან თავის წმინდად დამმარხველნი, ჩვენი ჭეშმარიტი სიძის მადლით და არა კაცობრივი სიმართლით დავდგეთ უკვდავების ტრაპეზთან. მივიღოთ კურნება სულისა და ხორცისა და სიხარულით დავრწყულდეთ ღვთაებრივი სიტკბოებით: „ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა!“

ვიყოთ ყოვლადწმინდა სამების ჭეშმარიტი მადიდებელნი ამქვეყნად, მშვიდობით და უშფოთველად ვმოქალაქობდეთ, რათა ცათა შინა თაყვანის-ვსცეთ სამწმინდა ღმერთს, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ქრისტე აღსდგა! ჭეშმაარიტად აღსდგა!

აღდგომა ქრისტესი 2023

წმინდა სინოდი
მთავარეპიკოპოსი † კალინიკე
ათენისა და სრულიად ელადისა
სინოდის წევრები